

ემიგრანტი მშობლების შვილების მხარდაჭერისა და დაცვის პროტოკოლი მასწავლებლებისთვის

საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკა

შინაარსი

წინათქმა 3

1. ემიგრანტი მშობლების ბავშვების შესახებ 4

2. ემიგრანტი მშობლების შვილების ძირითადი საჭიროებები 5

3. მიგრაციის ფაზები და მასწავლებლის როლი 7

4. ემიგრანტი მშობლების სამშობლოში მყოფი ბავშვების ემოციური მდგომარეობა და პროფესიონალების როლი 10

4.1. ბავშვებისა და მშობლების მიმართ ნეიტრალური მიდგომა 10
4.2. ბავშვთა ფსიქო-სოციალური უნარების გათვალისწინება და მასწავლებლის როლი 11
4.3. ინდივიდუალური ემოციური რეაქციების გათვალისწინება 13
4.4. იმედგაცრუება და ადრეული მომწიფება 14
4.5. დაუცველობის განცდა 15

..... 16

5. პრაქტიკული აქტივობები 16

6. სკოლის პერსონალის ეთიკის პრინციპები ემიგრანტი მშობლების შვილებთან მიმართებით 24

7. 9 პრინციპი ნეგატიური შედეგების თავიდან ასაცილებლად 27

10. მასწავლებლის თვითრეფლექსიის ფორმა 30

წინამდებარე პროტოკოლი მომზადდა საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკას“ მიერ, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit GmbH) გლობალური პროგრამის - „განვითარებაზე ორიენტირებული მიგრაციის მხარდაჭერა“ დაკვეთით, პროექტის - „ემიგრანტი მშობლების სამშობლოში მყოფი ბავშვებისა (LBC) და ოჯახების გაძლიერება საქართველოში“-პროექტის ფარგლებში.
დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკა, ის შესაძლოა არ გამოხატავდეს GIZ-ის შეხედულებებს.

მარტი, 2026
თბილისი, საქართველო

წინათქმა

ერთი ან ორივე მშობლის ემიგრაციის შედეგად მსოფლიოში მილიონობით ბავშვი რჩება სამშობლოში, როგორც წესი, ოჯახის სხვა წევრის ან ახლობლის/ნათესავის მზრუნველობის ქვეშ. ემიგრაციას, დადებითი ეკონომიკური შედეგების მიუხედავად, ხშირად ახლავს მნიშვნელოვანი სოციალური და ემოციური გამოწვევები. მშობელთან ხანგრძლივმა განშორებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ბავშვის ემოციურ მდგომარეობაზე, ქცევაზე, მოტივაციასა და ზოგად განვითარებაზე. მიუხედავად იმისა, რომ მშობლების ემიგრაცია ხშირად ოჯახისთვის უკეთესი ეკონომიკური პირობების შექმნას ემსახურება, მისი ფსიქო-სოციალური შედეგების გათვალისწინება და ბავშვების საჭიროებების დროული ამოცნობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სკოლა და მასწავლებელი. სკოლა ბავშვის ცხოვრებაში ოჯახის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოა, ხოლო მასწავლებელი ხშირად ხდება ის ადამიანი, რომელიც პირველ რიგში ამჩნევს ბავშვის ემოციურ ცვლილებებს, სირთულეებს ან მხარდაჭერის საჭიროებას. მასწავლებლის სიტყვას, ყურადღებას და ემპათიურ დამოკიდებულებას შეუძლია ბავშვისთვის უსაფრთხოების, მიღების და მხარდაჭერის განცდის შექმნა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც მშობელი მის გვერდით არ იმყოფება.

მასწავლებლები ყოველდღიურად ქმნიან ისეთ გარემოს, სადაც ბავშვებს შეუძლიათ არა მხოლოდ ცოდნის მიღება, არამედ საკუთარი ემოციების გაზიარება, მხარდაჭერის მიღება და საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენა. სწორედ ამიტომ, მათი როლი ემიგრანტი მშობლების შვილების ცხოვრებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ხშირად გადამწყვეტიც კი ხდება.

სკოლას, როგორც ბავშვების მეორე სოციალურ გარემოს, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მათ მხარდაჭერაში. პროტოკოლის მიზანია დაეხმაროს სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს, გამოიყენონ შესაბამისი მიდგომები და პრაქტიკული ინსტრუმენტები, რათა ბავშვებმა განიცადონ ნაკლები სტრესი, მიიღონ საჭირო ემოციური მხარდაჭერა და შეინარჩუნონ სოციალური და აკადემიური ჩართულობა.

აღნიშნული პროტოკოლი შემუშავდა საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკას“ მიერ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, პროექტის – „კვლევა და მიზნობრივი შესაძლებლობების განვითარების ინიციატივა ემიგრანტი მშობლების სამშობლოში მყოფ ბავშვებზე (LBC)“ – ფარგლებში. დოკუმენტი წარმოადგენს ნაბიჯს ბავშვთა საჭიროებებისა და გამოწვევების უფრო ღრმა გააზრებისკენ და მიზნად ისახავს სასწავლო გარემოში ისეთი პრაქტიკის დანერგვას, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვების კეთილდღეობას, უსაფრთხოებას და პოზიტიურ განვითარებას.

საერთაშორისი ასოციაცია კივიტას გეორგიკა
პრეზიდენტი - მაია ნასრაშვილი

1. ემიგრანტი მშობლების ბავშვების შესახებ

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სოციალურ საკითხთა, ჯანმრთელობისა და მდგრადი განვითარების კომიტეტმა 2020 წელს შეიმუშავა რეზოლუცია - „შრომითი მიგრაციის გავლენა ემიგრანტების ბავშვებზე“[1], რომელშიც აღნიშნულია, რომ „საპარლამენტო ასამბლეა შეშფოთებულია სიღარიბით გამოწვეული შრომითი მიგრაციის დამანგრეველი ზემოქმედებით სამშობლოში დარჩენილ ბავშვებზე, რომლებიც ხშირად მოკლებულნი არიან საბაზისო ზრუნვას, დაცვას და მხარდაჭერას. ამ ფენომენის მასშტაბები ზოგიერთ ქვეყანაში საგანგაშოა, ზრდასრულთა მესამედამდე საზღვარგარეთ მუშაობს. მიუხედავად ამისა, დარჩენილი ბავშვები ძირითადად უხილავი რჩებიან საჯარო დისკურსსა და პოლიტიკის შემუშავებაში.“

ტერმინის განმარტება:

- ეს ფრაზა გამოიყენება იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც იზრდებიან სამშობლოში როდესაც ერთი ან ორივე მშობელი იმყოფება ემიგრაციაში;
- ამ ტერმინის გამოყენება შეიძლება როგორც გარე, ისე შიდა მიგრაციაზე;

სტიგმატიზაციის თავიდან ასაცილებლად საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკა ამკვიდრებს ტერმინს - ემიგრაციაში მყოფი მშობლების სამშობლოში მყოფი შვილები.

მშობლის ემიგრაციას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მათ სამშობლოში მყოფ შვილებზე:

- **ფსიქო-სოციალური სირთულეების ზრდის რისკი**[2] - მშობლებთან ხანგრძლივმა განშორებამ შეიძლება გაზარდოს ბავშვის ფსიქოლოგიური სირთულეების რისკი.[3] ბავშვები უჩივიან მოტივაციის ნაკლებობას, მოწყენილობას, ყურადღების დეფიციტს, მოჭარბებულ ბრაზს[4].
- **ფსიქოლოგიური სტრესის რისკი** - 11-14 წლის ბავშვები ნაკლებად შეუძლიათ სიტუაციასთან გამკლავება და განიცდიან სტრესს, ასევე შფოთვას. ამის შედეგად მათ შეიძლება განიცადონ ფსიქოლოგიური და ემოციური სტრესი, ჰქონდეთ მიტოვების გრძნობა, განუვითარდეთ დაბალი თვითშეფასება, რამაც შეიძლება განაპირობოს მათი საერთო განვითარებისა და სოციალიზაციის უნარის შეფერხება.[5]
- **განათლების დონის შემცირების რისკი** – მშობლის ემიგრაციამ შეიძლება გაზარდოს ბავშვის საგანმანათლებლო მიღწევების შემცირების, ბავშვის სწავლის მიმართ მოტივაციის შემცირების და მეტიც, საგანმანათლებლო დაწესებულების მიტოვების რისკები.[6]

[1] Impact of Labour Migration on Children Left behind in Tajikistan.” The Library of Congress;
[2] Jayasuriya, R. R. (2021). Children, Human Rights and Temporary Labour Migration: Protecting the Child-Parent Relationship. Routledge;
[3] Ding, L., Yuen, L. W., Buhs, E. S., & Newman, I. M. (2019). Depression among Chinese Left-Behind Children: A systematic review and meta-analysis;
[4] Valtolina GG, Colombo C. Psychological Well-Being, Family Relations, and Developmental Issues of Children Left Behind;
[5] Rossi A,The Impact of Migration on Children Left Behind in Developing Countries: Outcomes Analysis and Data Requirements;
[6] PMC, Europe. Europe PMC, europepmc.org/abstract/MED/29456926;

მშობლის/მშობლების ჩართულობის შემცირება აისახება ბავშვების აკადემიურ მოსწრებაზეც.[7]

- **ძალადობის რისკების ზრდა** - ემიგრანტების ბავშვები განსაკუთრებით დაუცველები არიან შრომითი ექსპლუატაციის, ასევე სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის, ადამიანებით ვაჭრობის, მათ შორის სექსუალური და/ან შრომითი ექსპლუატაციისა და ორგანოებით ვაჭრობის მიმართ. სიყვარულის, ყურადღების, თვითშეფასების მოთხოვნილება და ამავდროულად მოზარდობის პერიოდისთვის დამახასიათებელი დაბნეულობა და კრიზისი აიძულებს ზოგიერთ მოზარდს უფრო ადვილად გახდეს ტრეფიკინგის მსხვერპლი.[8]
- **კანონთან კონფლიქტში მოხვედრის რისკი[9]** - გაეროს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის (რიადის პრინციპების) გაიდლაინების მიხედვით ემიგრაციაში მყოფი მშობლები მოზარდობის ასაკში მყოფი ბავშვებისთვის არასრულწლოვანთა დელინქვენტურობის რისკ ფაქტორია.[10] 2021 წელს განრიდებული 363 არასრულწლოვნიდან 69 არასრულწლოვნის (19%) ორივე ან ერთ-ერთი მშობელი საზღვარგარეთ იმყოფებოდა. აქედან 7 არასრულწლოვნის ორივე მშობელი , 36 არასრულწლოვნის - დედა და 26 არასრულწლოვნის - მამა იმყოფებოდა საზღვარგარეთ.[11]
- **ბავშვთა ასაკში ქორწინების რისკის ზრდა** - არასრულწლოვანთა ქორწინებასთან დაკავშირებულმა თვისებრივი კვლევის დასკვნებმა აჩვენა, რომ მიგრანტების შვილები განუწყვეტლივ იღებდნენ ქორწინების წინადადებას და რიგ შემთხვევებში ისინი სოციალური ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდნენ კიდეც. ამასთან, დაცინვისა და სექსუალური შევიწროების შემთხვევები განსაკუთრებით მდედრობითი სქესის ბავშვების შემთხვევაში იყო. ამ ფაქტორების კულმინაცია ხშირად იწვევს მდედრობითი სქესის ბავშვების იძულებით ადრეულ ქორწინებას „მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“.[12]

2. ემიგრანტი მშობლების შვილების ძირითადი საჭიროებები

მიუხედავად იმისა, მშობლები იმყოფებიან თუ არ არიან, ბავშვების საჭიროებები იგივეა. ამ საჭიროებების დაკმაყოფილება ხელს უწყობს ბავშვების ჯანსაღ განვითარებას. ***იმ ბავშვების შემთხვევაში, რომელთა მშობლები მუშაობენ საზღვარგარეთ, ზოგიერთი საჭიროება, როგორიცაა სიყვარულის, მოწონების, მიმღებლობის, უსაფრთხოებისა და დაცვის საჭიროება, უფრო ძლიერია.***

[7] "Impact of Labour Migration on Children Left behind in Tajikistan." The Library of Congress;

[8] Doc. 15173 - Report - Working Document - Council of Europe;

[9] "Council of Europe Recommendation Recommendation N° R (88) 6 on Social Reactions to Juvenile Delinquency among Young People Coming from Migrant Families";

[10] "United Nations Guidelines for the Prevention of Juvenile Delinquency (the Riyadh Guidelines)." OHCHR;

[11] საქართველოს გენერალური პროკურატურა, 2022, „კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრუწლოვანთა მახასიათებლების კვლევა;

[12] Digital, Swace. "Special Cost of Migration on Children Left behind: Research Summary." Save the Children's Resource Centre, resourcecentre.savethechildren.net/pdf/social_cost_of_migration.pdf/. Accessed 28 July 2023.

დაცულობისა და უსაფრთხოდ ყოფნის საჭიროება

ეკონომიკური კეთილდღეობა სულაც არ გულისხმობს იმას, რასაც ჩვენ ბავშვის უფლებათა ჭრილში უსაფრთხოებასა და დაცვას ვუწოდებთ; მეტი თავისუფლება, რომელსაც ბავშვი სარგებლობს მშობლის (მშობლების) არყოფნის გამო, არ ნიშნავს იმას, რომ იგი თავს კარგად გრძნობს. უსაფრთხოებისთვის ბავშვს სჭირდება მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობა, ასევე გარკვეული საზღვრებისა და წესების სწავლება, რათა საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრება შეძლოს.
სკოლამ უნდა უზრუნველყოს სტაბილური გარემო, რომელიც შეამცირებს ბავშვების შფოთვას და გაურკვევლობას.

სიყვარულის საჭიროება

მშობლების სიყვარულის ნაკლებობა აიძულებს ბავშვებს მუდმივად მხარდამჭერის და სიყვარულის გამცემის ძიებას. ბავშვებს სურთ სიტყვებით და ქცევით გამოხატული სიყვარული. ბავშვებს უნდა აჩვენონ, რომ უყვართ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი არსებობენ და არა იმისთვის, ვინც არიან, რას აკეთებენ ან არ აკეთებენ. სიყვარულის საჭიროების დაუკმაყოფილებლობა ყველაზე მძიმედ აისახება ბავშვის მდგომარეობაზე.

მიჯაჭვულობის მოთხოვნილება

ვინმესთან მიჯაჭვულობა გულისხმობს მასთან ახლოს ყოფნის მცდელობას და მასთან კონტაქტის ძიებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბავშვი თავს დაუცველად გრძნობს; მიჯაჭვულობის საჭიროების დაკამაყოფილების გარეშე ბავშვი თავს დაუცველად და მარტოდ გრძნობს.

კომუნიკაციის საჭიროება

მშობლებთან, ბებია-ბაბუასთან ან მეურვესთან კომუნიკაციის საჭიროება. ბავშვს სურს მოუსმინონ, გაუგონ და მხარი დაუჭირონ მის გადაწყვეტილებებს. ბავშვს სურს შეძლოს თავისუფლად კომუნიკაცია, დადანაშაულების და გაკრიტიკების გარეშე. ბავშვმა უნდა გამოხატოს თავისი ემოციები და გრძნობები. კომუნიკაცია დაეხმარება ბავშვებს უკეთ შეიცნონ საკუთარი თავი, ჩამოაყალიბონ თავიანთი იდენტობა და თვითშეფასება, აღმოაჩინონ ფართო სამყარო მისი ყველა აღმავლობითა და ვარდნით. კომუნიკაციის საშუალებით ბავშვები ისწავლიან საფრთხის/რისკების დროს დახმარების თხოვნას.

მოწონების და მიღების მოთხოვნილება

ყველა ბავშვს აქვს მოწონებისა და მიღების მოთხოვნილება, რაც შეიძლება გადმოიცეს მადლიერების გზავნილებში, რომლებიც ძალიან ძლიერ გავლენას ახდენენ თავდაჯერებულობისა და პოზიტიური თვითშეფასების განვითარებაზე.

წახალისების, მოტივაციისა და დაფასების საჭიროება

უკეთესი შედეგების მისაღწევად, ყველა ადამიანს სჭირდება, რომ მისი მცირე მიღწევები წახალისდეს. ყველა ბავშვმა უნდა გაიგოს, რომ ის რასაც აკეთებენ მნიშვნელოვანია. ძლიერ მხარეებზე ყურადღების გამახვილება საუკეთესო შესაძლებლობაა ბავშვისთვის აღნიშნული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. აკადემიური დახმარება – მოტივაციისა და ყურადღების პრობლემების გამო, საჭირო ხდება დამატებითი საგანმანათლებლო მხარდაჭერა.

ინფორმირებულობის საჭიროება

ბავშვი უნდა იყოს ინფორმირებული მშობლების წასვლის გადაწყვეტილების შესახებ. ცვლილებების შესახებ, რაც მოხდება მშობლის (მშობლების) წასვლის შემდეგ, ბავშვის ცხოვრების შესახებ მას შემდეგ: სად და ვისთან ერთად იცხოვრებს ბავშვი, მეურვის როლი, როგორ შეიცვლება მისი ცხოვრება, ვინ დაეხმარება მას, ვინ იზრუნებს მასზე, ვინ მოაწყობს მის დაბადების დღეს, ვის უნდა მიმართოს დახმარებისთვის და ა.შ.

გახსოვდეთ

ბავშვის ერთ-ერთი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შეუსრულებლობაც კი იწვევს ფსიქო-ემოციურ და ქცევითი დისბალანსს. ბავშვები ვერ ხვდებიან რა ხდება მათთან ემოციური თვალსაზრისით, დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებების გამო; მათ არ აქვთ შესაბამისი უნარები, რათა გაუმკლავდნენ უარყოფით ემოციებს. ეს ემოციები გადაიქცევა შეუსაბამო რეაქციებში ან ქცევებში საკუთარი თავის და სხვების მიმართ.

3. მიგრაციის ფაზები და მასწავლებლის როლი

მასწავლებლის პასუხისმგებლობა მრავალმხრივია და ემიგრაციის პროცესის თითოეულ ეტაპზე განსხვავებული გამოწვევები მოაქვს. მნიშვნელოვანია, რომ თუკი მასწავლებელს აქვს ინფორმაცია მშობლის ემიგრაციის შესახებ, ყველა ეტაპზე მოახერხოს ბავშვის მხარდაჭერა.

I ეტაპი - მშობლის მიერ ემიგრაციის გადაწვეტილების მიღება

ამ ეტაპზე ბავშვი პირველად აწყდება ცვლილებებს, რაც მასზე ემოციურ ზეგავლენას ახდენს. მასწავლებლებს (იმ შემთხვევაში, თუკი ინფორმირებულნი არიან წინასწარ მშობლის მხრიდან ემიგრაციაში წასვლის თაობაეზე) შეუძლიათ:

- **ბავშვისთვის მოსალოდნელი ცვლილებების ახსნა** – ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, მარტივი და ხელმისაწვდომი ფორმით ახსნან, თუ რატომ მიდის მშობელი და რა შეიცვლება ბავშვის ცხოვრებაში.
- **ემოციური მხარდაჭერა** – დაეხმარონ ბავშვს შიშებისა და გაურკვევლობის შემცირებაში, განუვითარონ დადებითი მოლოდინები და აჩვენონ, რომ ის მარტო არ არის.
- **მშობლებთან მუშაობა** – დაეხმარონ მშობლებს, როგორ აუხსნან ბავშვს ემიგრაციის მიზეზები, როგორ ჩართონ ბავშვი გადაწყვეტილების მიღების პროცესში და როგორ შეუნარჩუნონ მას უსაფრთხოების განცდა.

II ეტაპი: მშობლის წასვლის მომენტი

ეს ეტაპი განსაკუთრებით მტკივნეულია ბავშვისთვის, რადგან ემოციური განცალკევება მშობელთან უფრო რეალური ხდება. მასწავლებლების როლი ამ პერიოდში შემდეგია:

- **ბავშვის ყოველდღიურობის სტაბილურობა** – რუტინის შენარჩუნება, რაც ბავშვს სტაბილურობისა და უსაფრთხოების განცდას უჩენს.
- **ბავშვის ემოციების მართვა** – მასწავლებელი უნდა დაეხმაროს ბავშვს გრძნობების გამოვლენაში და მისთვის კომფორტული სივრცის შექმნაში, სადაც შეძლებს ემოციური მხარდაჭერის მიღებას.
- **ადაპტაციაში დახმარება** – ხელი შეუწყონ მშობელთან კავშირის შენარჩუნებას, მაგალითად, წერილების, ნახატების, ან მცირე ვიდეო გზავნილების მეშვეობით.

III ეტაპი: მშობლის არყოფნა

ეს ფაზა ყველაზე ხანგრძლივია და სკოლას განსაკუთრებული ამოცანები აკისრია:

- **ბავშვის ქცევისა და ემოციური მდგომარეობის დაკვირვება** – მასწავლებლებმა უნდა გააკონტროლონ ბავშვის ფსიქო-სოციალური მდგომარეობა და დროულად აღმოაჩინონ შესაძლო სირთულეები.
- **ბავშვის ჩართვა აქტივობებში** – მასწავლებლები უნდა მოიფიქრონ აქტივობები, რომლებიც ბავშვს დაეხმარება თავის შესაძლებლობების აღმოჩენაში, სოციალიზაციაში და თვითშეფასების ამაღლებაში.
- **ბავშვის საჭიროებებზე მორგებული სწავლება** – ინდივიდუალური მიდგომის გამოყენება ბავშვის სასწავლო პროცესში, რათა მისი მოტივაცია არ დაიკარგოს.

- **მშობლებთან კავშირის ხელშეწყობა** – მასწავლებლები უნდა უზრუნველყონ მშობლებთან რეგულარული კომუნიკაცია, რათა ბავშვმა თავი მიტოვებულად არ იგრძნოს.
- **მეურვეების ჩართულობა** – სკოლამ უნდა იმუშაოს იმ პირებთან, ვინც ბავშვს უვლის, რათა მათ მიიღონ ინფორმაცია ბავშვის საჭიროებების შესახებ და შეძლონ სათანადო ზრუნვა.

IV ეტაპი: მშობლის დაბრუნება

მშობლის დაბრუნება შეიძლება ბავშვისთვის დიდი სიხარულის მომტანი იყოს, მაგრამ ამავდროულად ახალი ადაპტაციის პერიოდი იწყება. ამ ეტაპზე მასწავლებლებს შეუძლიათ:

- **ბავშვს დაეხმარონ ემოციების მართვაში** – ბავშვს შესაძლოა გაუჩნდეს შერეული გრძნობები, რაც მნიშვნელოვანია, რომ სწორად აღიქვას და გაიგოს.
- **შეუწყონ ხელი ბავშვსა და მშობელს შორის ურთიერთობის აღდგენას** – შესაძლოა, ხანგრძლივი განშორების შემდეგ ბავშვს გაუჭირდეს მშობელთან მჭიდრო კავშირის აღდგენა, რაშიც მასწავლებლები დახმარებას შეძლებენ.

- **გამოწვევების იდენტიფიცირება** – მასწავლებლებმა უნდა შეძლონ იმ სირთულეების ამოცნობა, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მშობლის დაბრუნებისას (მაგალითად, ახალი მოლოდინები, კომუნიკაციის ბარიერები, ემოციური დისტანცია).

- **შექმნან უსაფრთხო გარემო კლასში**, სადაც ბავშვს ექნება ემოციური მხარდაჭერა თანატოლებისგან და მასწავლებლებისგან.

4. ემიგრანტი მშობლების სამშობლოში მყოფი ბავშვების ემოციური მდგომარეობა და პროფესიონალების როლი

ბავშვთა ემოციური მდგომარეობის უკეთ გასაგებად და მათი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, მასწავლებლებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი პრინციპები და მიდგომები:

4.1. ბავშვებისა და მშობლების მიმართ ნეიტრალური მიდგომა

ნეიტრალური და თანაგრძნობის მქონე მიდგომა უმნიშვნელოვანესია იმ ბავშვებისთვის, რომელთა მშობლები ემიგრაციაში იმყოფებიან. ეს მიდგომა ხელს უწყობს ბავშვის ემოციური კეთილდღეობის დაცვას და მათთვის უსაფრთხო, დამხმარე გარემოს შექმნას.

ნეიტრალურობა არ ნიშნავს უყურადღებობას. პირიქით, მასწავლებელმა უნდა შეინარჩუნოს ემპათია, ობიექტურობა და მხარდაჭერა ბავშვისა და მისი ოჯახის მიმართ. ბავშვები ხშირად გრძნობენ დანაშაულის გრძნობას მშობლის ემიგრაციასთან დაკავშირებით. მათ შეიძლება გაუჩნდეთ განცდა, რომ „არ არიან საკმარისად კარგები“, რის გამოც მშობელმა მათი დატოვება გადაწყვიტა.

ნეიტრალური მიდგომა ხელს უწყობს ბავშვსა და მასწავლებელს შორის ნდობის გაღრმავებას. ბავშვი უნდა გრძნობდეს, რომ მასწავლებელი არ განსჯის მას ან მის მშობლებს, არამედ მზადაა მხარი დაუჭიროს ნებისმიერ სირთულეში. ემიგრანტი მშობლების ბავშვები ხშირად აწყდებიან სტიგმას, რომელიც მათ ემოციურ მდგომარეობას კიდევ უფრო მეტად ართულებს.

პროფესიონალის ამოცანა	აღწერა
ნდობისა და ემპათიის შენარჩუნება	ბავშვთან და მის მეურვესთან ურთიერთობისას პროფესიონალმა უნდა გამოიყენოს არაგანსჯითი და ემპათიური მიდგომა.
სტიგმის პრევენცია	მასწავლებელმა სასკოლო საზოგადოებაში უნდა იმუშავოს სტიგმის შემცირებაზე, როგორც კოლეგებთან, ისე მოსწავლეებთთან.
ნეიტრალური და ობიექტური მიდგომის შენარჩუნება	პროფესიონალმა თავი უნდა შეიკავოს მშობლების ქმედებების განსჯისგან და ფოკუსირება მოახდინოს ბავშვის საჭიროებებსა და განვითარებაზე.
მხარდამჭერი გარემოს შექმნა	უნდა შეიქმნას ისეთი გარემო, რომელიც ბავშვს დაეხმარება სტრესისა და გაურკვევლობის შემცირებაში.
განათლება და ცნობიერების ამაღლება	მასწავლებლებმა მშობლებთან ან მეურვეებთან თანამშრომლობით უნდა მიაწოდონ ინფორმაცია, როგორ დაიცვან და მხარი დაუჭირონ ბავშვებს ემიგრაციის პერიოდში.

4.2. ბავშვთა ფსიქო-სოციალური უნარების გათვალისწინება და მასწავლებლის როლი

ბავშვებს, განსაკუთრებით, დაწყებით კლასებში, ხშირად არ აქვთ განვითარებული საკმარისი ფსიქოლოგიური და ემოციური უნარები, რათა დამოუკიდებლად გაუმკლავდნენ მშობლის ემიგრაციასთან დაკავშირებულ ემოციებს, როგორიცაა მონატრება, სევდა, გაურკვევლობა და შიში.

ამ გრძნობების ინტენსიურობა ბავშვებისთვის გადამეტებული შეიძლება იყოს, რაც გავლენას ახდენს მათი ყოველდღიური ცხოვრების მართვის უნარზე, სწავლაზე, სოციალურ ურთიერთობებზე და ემოციურ სტაბილურობაზე. ამ პროცესში მასწავლებლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბავშვის ემოციური კეთილდღეობის დაცვასა და მის მხარდაჭერაში

ბავშვებისთვის რთულია დამოუკიდებლად გაუმკლავდნენ:

- დროის აღქმას: მშობლის არყოფნის ხანგრძლივობის გაუგებრობა ხშირად აძლიერებს გაურკვევლობას და სტრესს.
- პასუხისმგებლობის გადანაწილებას: მშობლის წასვლის შემდეგ, ზოგჯერ ბავშვები ცდილობენ "შეავსონ" მათი ადგილი ოჯახში, რაც სცილდება მათ ასაკობრივ და განვითარების შესაძლებლობებს.
- ემოციების მართვას: ბავშვებს უჭირთ შიშისა და სტრესის სწორი გამოხატვა, რაც იწვევს ფსიქო-სოციალური ტრავმების რისკს და არაადაპტაციურ ქცევებს. ბავშვებს ხშირად არ გააჩნიათ საჭირო უნარები, რათა გაუმკლავდნენ მშობლების წასვლასთან დაკავშირებულ ემოციების ინტენსიურ ტალღას. მათთვის რთულია ყოველდღიური ცხოვრების დამოუკიდებლად მართვა ან იმ პასუხისმგებლობის აღება, რომელიც სცილდება მათ ასაკობრივ და განვითარების შესაძლებლობებს. ამის გამო ბავშვებს ხშირად უვითარდებათ ფსიქოლოგიური ტრავმები ან სტრესზე არაადაპტაციური რეაქციები.

მასწავლებლის როლი	აღწერა
ბავშვისთვის დროის აღქმის განვითარება	მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს ვიზუალური კალენდრები ან დღიურები, რომ ბავშვმა გაიგოს, როდის დაბრუნდება მშობელი და რას უნდა ელოდოს.
ემოციების მართვის მხარდაჭერა	სკოლაში უნდა შეიქმნას ემოციების გამოხატვის სივრცე, სადაც ბავშვი შეძლებს გრძნობებზე საუბარს (მაგალითად, დისკუსიები, ხატვის ან თხრობითი დავალებები).
ბავშვისთვის ასაკის შესაბამისი პასუხისმგებლობების გაძლიერება	ბავშვს არ უნდა დააკისრონ უფროსის როლი. მასწავლებელმა უნდა დააკვირდეს, ხომ არ აქვს მას გადაჭარბებული პასუხისმგებლობები და შეამსუბუქოს მისი ყოველდღიური დატვირთვა.
სტრესთან გამკლავების უნარების სწავლება	მასწავლებლებმა უნდა შეუქმნან ბავშვებს პოზიტიური ადაპტაციის გზები, მაგალითად, ჯგუფური თამაშები, რელაქსაციის ტექნიკები და პრობლემის გადაჭრის სავარჯიშოები.
ბავშვის სოციალიზაციის ხელშეწყობა	მასწავლებელი უნდა დაეხმაროს ბავშვს თანატოლებთან პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებაში, რათა არ დარჩეს იზოლირებული.

4.3. ინდივიდუალური ემოციური რეაქციების გათვალისწინება

მშობლის ემიგრაცია ბავშვებზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს. მათი ემოციური რეაქციები დამოკიდებულია ასაკზე, პიროვნულ თავისებურებებზე, სოციალურ გარემოზე და იმ მხარდაჭერაზე, რომელსაც ისინი სკოლაში და სახლში იღებენ.
მასწავლებლებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ თითოეული ბავშვის ემოციური რეაქცია უნიკალურია და ნორმალური, მიუხედავად იმისა, თუ როგორია მისი გამოხატვის ფორმა. ეს გაგება საშუალებას აძლევს მასწავლებლებს, შექმნან ინდივიდუალურად მორგებული მიდგომები თითოეული ბავშვისთვის და დაეხმარონ მათ ემოციურ სტაბილურობაში.

ემოციური რეაქცია	რა ვლინდება?	პროფესიონალის როლი
ინტროვერსია (სევდა და თვითიზოლაცია)	ბავშვი ხდება ჩუმი, მორცხვი, განმარტოებული. ხშირად ერიდება აქტივობებსა და თანატოლებთან ურთიერთობას.	• ბავშვთან ნდობის დამყარება, რათა იგრძნოს, რომ მისი გრძნობები მიღებულია • ჯგუფურ აქტივობებში ჩართვის წახალისება, რაც დაეხმარება სოციალიზაციაში. • მეგობრული და მხარდამჭერი გარემოს შექმნა, სადაც ბავშვი თავს უსაფრთხოდ იგრძნობს.
აგრესია (გაღიზიანება, ნერვიულობა, აგრესიული ქცევა)	ბავშვი ხშირად ავლენს გაღიზიანებას, უარს ამბობს წესების დაცვაზე ან ფიზიკურად ან სიტყვიერად გამოხატავს აგრესიას.	• ბავშვის ქცევის მიზეზების გაგება – უნდა დადგინდეს, რაზეა გაბრაზებული. • ალტერნატიული გზების სწავლება ემოციების გამოხატვისთვის (მაგალითად, არტ-თერაპია, სპორტი, მუსიკა). • პოზიტიური დისციპლინის გამოყენება, რათა ბავშვმა ისწავლოს ემოციების კონტროლი, სხვა ადამიანების მიმართ ზიანის მიყენების გარეშე.
პროტესტი (აჯანყება, წესების დარღვევა, ავტორიტეტებთან კონფლიქტი)	ბავშვი უარს ამბობს წესების დაცვაზე, კონფლიქტურია მასწავლებლებთან და თანატოლებთან, აქტიურად ავლენს პროტესტს.	• ბავშვის პროტესტის გაგება, მისი აზრებისა და გრძნობების პატივისცემა. • სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შექმნა, სადაც ბავშვს შეუძლია თავისუფლად გამოხატოს საკუთარი მოსაზრებები.

		• ემოციების მართვის უნარების სწავლება, მაგალითად, როგორ გაუმკლავდეს შიშს, სევდას და სიბრაზეს ჯანსაღი გზებით.

მასწავლებელმა უნდა **შექმნას უსაფრთხო, გამჭვირვალე და ემოციურად მხარდამჭერი გარემო**, სადაც ბავშვებს ექნებათ საშუალება, გამოხატონ თავიანთი გრძნობები, მიიღონ დახმარება და განავითარონ **ემოციური გამძლეობა**.

4.4. იმედგაცრუება და ადრეული მომწიფება

მშობლის ემიგრაციის გავლენით, ბავშვებში ხშირად ვლინდება იმედგაცრუება და ადრეული მომწიფება, რაც მათი განვითარების ბუნებრივი პასუხია გაურკვევლობაზე და ემოციურ სირთულეებზე.მასწავლებლების მთავარი ამოცანაა, ბავშვის ემოციურ კეთილდღეობაზე ზრუნვა, მისი ასაკთან შესაბამისი განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და ზედმეტი ემოციური დატვირთვისგან დაცვა.

ამგვარი მიდგომა ბავშვის ფსიქო-სოციალურ განვითარებას გააძლიერებს და ხელს შეუწყობს ჯანსაღი ემოციური მდგომარეობის შენარჩუნებას.

კატეგორია	შედეგები და გამოვლინება	მაგალითები/დეტალები
იმედგაცრუება ბავშვებში		
ემოციური რეაქციები	ბავშვი შეიძლება გახდეს გულჩათხრობილი, სევდიანი ან მარტოსული.	ბავშვი ხშირად განცალკევებულია კლასისგან და არ მონაწილეობს სოციალურ აქტივობებში.
	გაღიზიანება და უკმაყოფილება გარემოს ან ადამიანების მიმართ.	ბავშვი ხშირად ბრაზდება.
ქცევითი ცვლილებები	უარყოფითი ქცევები, როგორიცაა აგრესია თანატოლებისა თუ მასწავლებლების მიმართ.	ბავშვი ხშირად ეჩხუბება თანატოლებს ან მასწავლებლებთან ხშირად აქვს კონფლიქტები.
	ინტერესის დაკარგვა ყოველდღიური აქტივობების მიმართ.	ბავშვს აღარ აინტერესებს თავისი თავიი ჰობი, მაგალითად შეწყვიტა გიტარაზე სიარული.
სომატური სიმპტომები	ძილის დარღვევები, მადის დაკარგვა ან მუცლის ტკივილები, რაც სტრესზე რეაქციის ნაწილია.	ბავშვი უჩივის ცუდ ძილს ან საკვების მიღებაზე უარს აცხადებს.
ადრეული მომწიფება		

მშობლების „როლი ჩამორთმევა“	ბავშვები იძულებულნი არიან, უფროსების პასუხისმგებლობები იტვირთონ.	მაგალითი: „მინდა დედას დავეხმარო, რომ მან მალე დაბრუნება შეძლოს.“
განვითარებითი როლი	ბავშვები იღებენ პასუხისმგებლობას პატარა ძმებისა ან დების მოვლაზე და ზედმეტად მზრუნველები ხდებიან.	მაგალითი: ბავშვი ეხმარება თავის პატარა ძმას ან დებს ყოველდღიური საქმიანობების დროს.
გადაჭარბებული პასუხისმგებლობა	ბავშვს უჩნდება მოტივაცია, რომელიც მის ასაკს აღემატება, ხშირად ემოციური კავშირის შესანარჩუნებლად.	მაგალითი: „მე კარგად ვიქცევი, რომ დედამ ჩემით იამაყოს.“

პროფესიონალთა ამოცანა	▪ მოსწავლეების ემოციური მდგომარეობის გაძლიერება უნდა გახდეს საგანმანათლებლო გარემოს ნაწილი. ▪ მასწავლებელმა უნდა შექმნას უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემო, სადაც ბავშვები შეძლებენ თავიანთი ემოციების გამოხატვას და ჯანსაღი სოციალიზაციის განვითარებას. ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ ის მნიშვნელოვანი და ღირებულია არა იმის გამო, თუ რამდენად კარგად ასრულებს უფროსის როლს, არამედ უბრალოდ იმიტომ, რომ ის ბავშვია.

4.5. დაუცველობის განცდა

ბავშვთა უმეტესობა, რომელთა მშობლები უცხოეთში არიან, თავს დაუცველად გრძნობს. ეს განცდა გამოწვეულია იმით, რომ მათ არ აქვთ სრული გაგება, რატომ დატოვეს მშობლებმა ისინი, როდის დაბრუნდებიან და რას მოიტანენ დაბრუნებისას. დაუცველობის განცდა ხშირად ვლინდება შიშის, დაბნეულობისა და ხანგრძლივი სტრესის სახით. ამ ემოციებს, თუ სათანადო ყურადღება არ დაეთმობა, შეუძლიათ ბავშვების ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუარესება და მათი ნდობის, უსაფრთხოების და სტაბილურობის გრძნობის შესუსტება.
პროფესიონალთა მთავარი ამოცანაა ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ბავშვები იგრძნობენ თავს დაცულად, აღიარებულად და უსაფრთხოდ. ასეთი გარემო არა მხოლოდ ამცირებს სტრესს და შიშს, არამედ ეხმარება ბავშვს, განივითაროს ნდობა და ემოციური სტაბილურობა, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია მათი კეთილდღეობისთვის.
ეს არ არის მხოლოდ პასუხისმგებლობა, არამედ შესაძლებლობა – დაეხმარონ ბავშვებს დაამყარონ ძლიერი საფუძვლები ბედნიერი და წარმატებული მომავლისთვის, მიუხედავად მშობლის დროებითი არყოფნისა.

დაუცველობის გამომწვევი ფაქტორები	რა ვლინდება?	პროფესიონალის როლი

მშობლის არყოფნის შიში	ბავშვებში ჩნდება შიში, რომ მშობელი აღარ დაბრუნდება, რაც იწვევს სტრესსა და ემოციურ დისბალანსს.	ბავშვებთან საუბარი მშობლის დაბრუნების გარანტიაზე, უსაფრთხოების განცდის გაძლიერება.
ემოციური მხარდაჭერის ნაკლებობა	ბავშვები გრძნობენ, რომ მარტო არიან ან მათ არ ჰყავთ ის, ვინც მათ საჭიროებებზე იზრუნებს.	მშვილებლის ან მეურვის ჩართულობის გაძლიერება, ემოციური მხარდაჭერის პირდაპირი უზრუნველყოფა.
უცნობ გარემოსთან ადაპტაცია	ბავშვებს უჭირთ ახალ გარემოსთან ან ახალ მეურვესთან შეგუება, რაც აძლიერებს დაუცველობის განცდას.	სტაბილური რუტინების შექმნა, ბავშვის ნდობის მოპოვება.
სოციალური იზოლაცია	ბავშვებს უჭირთ თანატოლებთან ურთიერთობა ან გრძნობენ თავს გარიყულად.	სოციალური ინტერაქციის წახალისება, ჯგუფური აქტივობების ორგანიზება.

5. პრაქტიკული აქტივობები

პრაქტიკული აქტივობები ემოციების მართვის მხარდასაჭერად

სუნთქვითი ვარჯიში

მიზანი - ბავშვების დამშვიდება, ემოციების რეგულაცია და ყურადღების კონცენტრაციის გაუმჯობესება

აქტივობის შესრულების პრაქტიკული ინსტრუქცია მასწავლებლებისთვის

როგორ მოვამზადოთ გარემო

- შეარჩიეთ მშვიდი სივრცე კლასში
- სთხოვეთ ბავშვებს დასხდნენ კომფორტულად (სკამზე ან იატაკზე)

- უთხარით, რომ ეს არის „დასვენების და სუნთქვის დრო“



ნაბიჯ-ნაბიჯ ინსტრუქცია

1. ყურადღების მიმართვა

- უთხარით ბავშვებს: *„ახლა ცოტა ხნით გავჩერდეთ და ჩვენს სუნთქვას დავაკვირდეთ“*

2. სხეულის პოზიცია

უთხარით ბავშვებს: *რომ შეუძლიათ დახუჭონ თვალები, სურვილის შემთხვევაში და:*

- ზურგი სწორად, მაგრამ მოდუნებულად
- ხელები მუხლებზე ან მუცელზე

3. სუნთქვაზე კონცენტრაცია

- უთხარით: *„დააკვირდით, როგორ შედის ჰაერი ცხვირით და როგორ გამოდის ისევ გარეთ“*

4. ნელი სუნთქვის რიტმი (მარტივი მეთოდი)

- ჩასუნთქვა — 4 დათვლაზე
- გაჩერება — 2 დათვლაზე
- ამოსუნთქვა — 6 დათვლაზე

მასწავლებელმა შეიძლება ხმამაღლა დათვალოს:
„ერთი... ორი... სამი... ოთხი...“

5. ვიზუალიზაციის დამატება (სურვილისამებრ)

- *„წარმოიდგინეთ, რომ ბუშტს ბერავთ — ნელა ვავსებთ და ნელა ვუშვებთ ჰაერს“*

6. ხანგრძლივობა

- 2–5 წუთი საკმარისია (პატარა ბავშვებისთვის 1–2 წუთიც ეფექტურია)

როგორ დავასრულოთ

- უთხარით: *„ახლა ნელა დავბრუნდეთ ჩვენს გარემოში“*
- სთხოვეთ ბავშვებს გაახილონ თვალები და გააზიარონ, როგორ იგრძნეს თავი (სურვილის შემთხვევაში)

პრაქტიკული რჩევები აქტივობისთვის

- გამოიყენეთ ყოველდღიურად (გაკვეთილის დასაწყისში ან დაძაბულ მომენტში)
- არ აიძულოთ ბავშვი — მონაწილეობის სურვილი უნდა იყოს ნებაყოფლობითი
- გამოიყენეთ მარტივი, მშვიდი ტონი
- შეგიძლიათ დაურთოთ მუსიკა ან ბუნების ხმები

სხვა აქტივობები

„ემოციური რუკა“ – ბავშვმა შეიძლება დახატოს ან აღწეროს, როგორ გრძნობს თავს ყოველდღიურად. ეს დაეხმარება მასწავლებელს, შეამჩნიოს შესაძლო ცვლილებები და დროულად ჩაერიოს.

„ფოსტის ყუთი მშობლისთვის“ – მასწავლებელმა შეიძლება შესთავაზოს ბავშვს, დაწეროს წერილები ან გააკეთოს ნახატები მშობლისთვის, რაც დაეხმარება მას ემოციების გამოხატვაში.

„თანამშრომლობის წრე“ – ბავშვებმა შეიძლება ერთმანეთთან გაიზიარონ საკუთარი გრძნობები და გამოცდილებები, რაც დაეხმარებათ, გაიგონ, რომ მარტო არ არიან.

„პოზიტიური დებულებების დღიური“ – ბავშვმა შეიძლება ჩაიწეროს, რას აკეთებს კარგად და რა პოზიტიური მომენტები აქვს დღის განმავლობაში.

„5-4-3-2-1 დამიწების ვარჯიში“

ეს ტექნიკა ეხმარება ბავშვებს შფოთვის, დაძაბულობის ან გადატვირთვის დროს „აქ და ახლა“-ში დაბრუნებაში სენსორული აღქმის გამოყენებით.

მიზანი - ემოციების რეგულაცია, ყურადღების კონცენტრაცია, შფოთვის შემცირება.

ინსტრუქცია მასწავლებლებისთვის

1. შესავალი

უთხარით ბავშვებს: *„ახლა ვითამაშებთ პატარა თამაშს, რომელიც დაგვეხმარება დავმშვიდდეთ და დავბრუნდეთ ჩვენს გარემოში“*

ნაბიჯები

5 — რაც ხედავ
„დაასახელე 5 რამ, რასაც ახლა ხედავ შენ გარშემო“, მაგ: მაგიდა, ფანჯარა, წიგნი…)

4 — რასაც ეხები
„დაასახელე 4 რამ, რასაც შეგიძლია შეეხო“, (მაგ: ტანსაცმელი, სკამი, იატაკი…)

3 — რასაც ისმენ
„დაასახელე 3 ხმა, რასაც ახლა გესმის“ (მაგ: ქარის ხმა, კლასის ხმაური…)

2 — რასაც ყნოსავ
„დაასახელე 2 სუნი, რასაც გრძნობ“, (თუ რთულია, შეგიძლიათ წარმოიდგინონ საყვარელი სუნი)

1 — რასაც აგემოვნებ
„დაასახელე 1 გემო, რასაც გრძნობ ან გახსენდება“

დასრულება

უთხარით:
„ახლა ისევ აქ ვართ, ჩვენს კლასში. როგორ გრძნობ თავს?“

ხანგრძლივობა

- 2–5 წუთი

პრაქტიკული რჩევები

- გამოიყენეთ მაშინ, როცა ბავშვი აღელვებულია ან გადაღლილია
- შესაძლებელია ჯგუფურად ან ინდივიდუალურად
- პატარა ბავშვებისთვის გამოიყენეთ ვიზუალური დახმარება (სურათები, ბარათები)
- არ გააკრიტიკოთ პასუხები — ყველა პასუხი სწორია

შედეგი - ეს ვარჯიში ეხმარება ბავშვებს:

- „გამორთონ“ ზედმეტი ფიქრები
- დაუბრუნდნენ რეალობას
- სწრაფად დაამშვიდონ საკუთარი სხეული და გონება

გახსოვდეთ

<u>თითოეული პრაქტიკული რჩევის შესრულებისას, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ბავშვის ასაკი და ინდივიდუალური მახასიათებელი და იმგვარად შეარჩიოთ მხარდამჭერი აქტივობა.</u>

აქტივობა —ემოციების ამოცნობა

მიზანი

ემოციების ამოცნობის უნარის განვითარება, არავერბალური კომუნიკაციის გაცნობიერება და ემპათიის გაძლიერება ყველა მოსწავლისთვის.

ნაბიჯი 1

სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ დადგნენ ორ რიგად. საჭიროების შემთხვევაში, რიგები შეიძლება იყოს მჯდომარე ფორმატშიც. თითოეული რიგის წინ იატაკზე ან მაგიდაზე დაალაგეთ ფურცლები, რომლებზეც წერია ემოციები: ბედნიერი, იმედგაცრუებული, სევდიანი, გაბრაზებული, შოკირებული, მორცხვი, დამნაშავე, ეჭვიანი, გაღიზიანებული, შეშინებული.

შეზღუდული შესაძლებლობების ან დამატებითი საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის:

- გამოიყენეთ ემოციების სურათები ან პიქტოგრამები ტექსტთან ერთად
- საჭიროების შემთხვევაში წაიკითხეთ ემოციები ხმამაღლა
- უზრუნველყავით ფურცლების ხელმისაწვდომი განთავსება (მაგალითად, მაგიდაზე)

აუხსენით მოსწავლეებს, რომ ორივე ჯგუფს აქვს ერთნაირი ემოციების ნაკრები.

ნაბიჯი 2

აუხსენით მოსწავლეებს, რომ ეს არის ემოციის გადაცემის თამაში. რიგის პირველმა მოსწავლემ უნდა აიღოს ფურცელი, წაიკითხოს ემოცია ჩუმად (ან მოუსმინოს მასწავლებელს) და ეცადოს ეს ემოცია გამოხატოს.

მნიშვნელოვანია:

- ემოციის გამოხატვა შესაძლებელია არა მხოლოდ სახით, არამედ ჟესტებით ან სხეულის მოძრაობით
- მოსწავლეებმა თავად აირჩიონ მათთვის კომფორტული ფორმა

ნაბიჯი 3

თქვენი სიგნალის შემდეგ მოსწავლეები გადასცემენ ემოციას ერთმანეთს. თითოეული მოსწავლე აკვირდება წინ მდგომის გამომეტყველებას ან მოძრაობას და გადასცემს შემდეგს.

ადაპტაციები:

- თუ რიგში გადაცემა რთულია, შეიძლება თამაში წრეში ჩატარდეს
- თუ ბავშვს უჭირს გამომეტყველების მიბაძვა, შეუძლია მიუთითოს ბარათზე ან სიტყვით თქვას
- შესაძლებელია მუშაობა წყვილებში

ბოლო მოსწავლე მიდის წინ და წერს დაფაზე ან აჩვენებს შესაბამის ბარათს. სწორი პასუხისთვის გუნდი იღებს ერთ ქულას.

ნაბიჯი 4

დისკუსიისთვის შეკრიბეთ მოსწავლეები წრეში ან დატოვეთ ადგილებზე და დასვით კითხვები:

- ✓ რას იტყვით ამ თამაშზე?
- ✓ როგორ ხვდებოდით ემოციას?
- ✓ რა ნიშნებზე ამახვილებდით ყურადღებას?
- ✓ ყველასთვის ერთნაირად მარტივი იყო ემოციების ამოცნობა? რატომ?
- ✓ როგორ შეგვიძლია დავეხმაროთ ერთმანეთს ემოციების უკეთ გაგებაში?

მნიშვნელოვანია, რომ ყველა მოსწავლეს მიეცეს გამოხატვის საშუალება მათთვის კომფორტული ფორმით (სიტყვით, ჟესტით, ბარათით).

ნაბიჯი 5

აუხსენით მოსწავლეებს, რომ ადამიანები სხვადასხვა გზით გამოხატავენ ემოციებს. ზოგისთვის ეს უფრო სახის გამომეტყველებით ჩანს, ზოგისთვის — სხეულის მოძრაობით ან ხმით.ხაზი გაუსვით, რომ:

- ყველა ადამიანი განსხვავებულია
- ზოგჯერ ემოციების ამოცნობა რთულია და საჭიროა ყურადღებით დაკვირვება
- მნიშვნელოვანია, ვიკითხოთ და დავაზუსტოთ, რას გრძნობს სხვა ადამიანი

ემპათია ნიშნავს, რომ ვცდილობთ გავიგოთ სხვა ადამიანის განცდები და მოვეპყროთ მას პატივისცემითა და მხარდაჭერით.

ინკლუზიურ გარემოში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ:

- ყველა მოსწავლე იყოს ჩართული
- განსხვავებები იყოს მიღებული
- ერთმანეთის დახმარება გახდეს საერთო ღირებულება

პიროვნული თვისებების ჩამონათვალი:

მოსიყვარულე, არტისტული, მამაცი, კრეატიული, მომხიბვლელი, მშვიდი, თანამგრძნობი, მზრუნველი, საკუთარ თავში დარწმუნებული, გამგებიანი, ერთგული, ადვილად საურთიერთო, სხვების გამამხნევებელი, მოქნილი, მეგობრული, გრაციოზული, ხელგაშლილი, მხიარული, პატიოსანი, მშრომელი, იუმორის გრძნობის მქონე, ჭკვიანი, ფიზიკურად ჯანმრთელი, პუნქტუალური, რელიგიური, მგრძნობიარე, ძლიერი, ბეჯითი, ტკბილად მოუბარი, მიმტევებელი/შემწყნარებელი, ყურადღებიანი, თბილი.

ემოციების ზონების ბარათების გამოყენება კლასში

მიზანი

ბავშვებმა ამოიცნონ საკუთარი ემოციები, ისწავლონ მათი მართვა და შეძლონ ემოციური ბალანსის აღდგენა.

როგორ დავიწყოთ

მასწავლებელი აცნობს ბავშვებს ემოციების ზონებს და ხსნის, რომ ყველა ემოცია ნორმალურია.

ზონები

ლურჯი – სევდიანი, დაღლილი
მწვანე – მშვიდი, ფოკუსირებული
ყვითელი – ნერვიული, აღელვებული
წითელი – გაბრაზებული, კონტროლდაკარგული

ძირითადი კითხვა

„რომელ ზონაში ხარ ახლა?“

მოქმედების ბარათები

- გაჩერდი
- შეანელე
- ისუნთქე
- დაისვენე

როდის გამოვიყენოთ?

გაკვეთილის დასაწყისში, დაძაბულ სიტუაციებში და დღის ბოლოს რეფლექსიისთვის.

მნიშვნელოვანი პრინციპები

!	არ ვასამართლებთ/განვსჯით ემოციებს. ყველა ბავშვი განსხვავებულია. ვასწავლით ემოციების მართვას.

6. სკოლის პერსონალის ეთიკის პრინციპები ემიგრანტი მშობლების შვილებთან მიმართებით

ბავშვებზე ზრუნვა მოითხოვს მათი უფლებებისა და კეთილდღეობის დაცვასა და უზრუნველყოფას. მასწავლებლების საქმიანობა არამარტო ცოდნის გადაცემას, არამედ ეთიკური სტანდარტების დაცვასაც გულისხმობს.

ემიგრანტი მშობლების შვილები განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფია, რადგან მათ ემოციური და სოციალური მხარდაჭერა სჭირდებათ მშობლის არყოფნის პერიოდში. სწორედ ამიტომ, მასწავლებლებს ევალებათ განსაკუთრებული სიფრთხილითა და ეთიკის ნორმების დაცვით მუშაობა, რათა ბავშვების მიმართ საუკეთესო ინტერესების დაცვა იყოს პრიორიტეტი.

თუ სკოლაში არ არის გაწერილი ეთიკის სტანდარტები, ეს არ ნიშნავს, რომ მასწავლებელს არ აქვს მათი დაცვის ვალდებულება. ეთიკის დაცვა ხელს უწყობს ბავშვის განვითარებას, უსაფრთხოებას და ნდობის გაძლიერებას სკოლის გარემოს მიმართ.

⇨ საიმედოობა

სანდოობა და საიმედოობა აყალიბებს ნდობას, რომელიც მნიშვნელოვანია ნებისმიერ ურთიერთობაში, მით უფრო, თუკი საკითხი ბავშვს ეხება. მიგრანტი მშობლების სამშობლოში

მყოფ შვილებთან დაკავშირებით ბევრი მხარეა ჩართული, მშობელი (ონლაინ) ზოგჯერ ორივე, ზოგჯერ ერთი მშობელი ადგილზე და ერთი ემიგრაციაში, ბავშვზე მზრუნველი პირები (ბებია, ბაბუა), ზოგჯერ გაფართოებული ოჯახის წევრები და რაც მთავარია, თავად ბავშვი.
საიმედოობის მთავარი საფრთხე ტყუილია, რომელიც შეიძლება მასწავლებელმა გამოიყენოს ერთი შეხედვით ბავშვის დასაცავად, ე.წ. „მისი სიკეთისთვის“, თუმცა ამგვარი მოპყრობა ანგრევს ნდობას და ბავშვს უქმნის განცდას, რომ საფრთხის შემცველ გარემოშია, სადაც ადამიანები, რომელთა იმედიც უნდა ჰქონდეს, მასთან გულწრფელნი არ არიან.

⇨ პატივისცემა და მონაწილეობა

მოსწავლის ინდივიდუალობის პატივისცემა ნიშნავს, რომ მასწავლებელი უნდა გაითვალისწინოს მისი პიროვნული მახასიათებლები, ემოციური მდგომარეობა და განვითარების დონე. მათი ასაკისა და განვითარების თავისებურებების გათვალისწინება, ინფორმირებულობა და ემოციური მხარდაჭერა ქმნის ისეთ გარემოს, სადაც ბავშვი არა მხოლოდ ვითარდება, არამედ გრძნობს, რომ იგი დაფასებულია და მის საჭიროებებს ყურადღება ექცევა. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს ბავშვის ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობასა და მომავალში მისი ნდობისა და თავდაჯერებულობის ჩამოყალიბებას.

- <u>ინდივიდუალობა</u>

  ყველა ბავშვი უნიკალური პიროვნებაა თავისი საჭიროებებით, ინტერესებითა და განვითარების ტემპით. მასწავლებლის ამოცანაა, აღიაროს თითოეული ბავშვის უნიკალურობა და ინდივიდუალური თვისებები, რათა უზრუნველყოს მათი პატივისცემა და სრულფასოვანი განვითარება. ეს ნიშნავს, რომ თითოეული ბავშვის მიმართ მიდგომა უნდა იყოს ინდივიდუალურად მორგებული, ასაკისა და პიროვნული თავისებურებების გათვალისწინებით.

- <u>ღირსება</u>

  ბავშვის ღირსების პატივისცემა უმნიშვნელოვანესი პრინციპია საგანმანათლებლო საქმიანობისთვის. ბავშვი უნდა გრძნობდეს, რომ მისი გრძნობები, აზრები და პერსპექტივები დაფასებულია და აღიარებულია. ბავშვის მოუსმენამ და მისი ხედვების გათვალისწინებამ შესაძლოა გააძლიეროს მისი ნდობა გარემოსა და მასწავლებლის მიმართ, ასევე წაახალისოს ბავშვის თავისუფალი თვითგამოხატვა და ემოციური განვითარება.

- <u>ინფორმირებულობა</u>

  ბავშვთან ურთიერთობის ძირითადი ასპექტია. მასწავლებლის მთავარი პასუხისმგებლობაა, ბავშვი იყოს ინფორმირებული ყველა იმ პროცესსა და მოვლენაზე, რომლებიც მის ცხოვრებას ეხება. ინფორმირების პროცესი

უნდა მოხდეს ბავშვის ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად, მარტივი და გასაგები ფორმით. ეს მოიცავს:

პროცესების ახსნა - ბავშვს უნდა აუხსნან, რატომ და როგორ მიმდინარეობს მის ცხოვრებაში გარკვეული ცვლილებები ან გადაწყვეტილებები.
გამჭვირვალობა - ბავშვი უნდა გრძნობდეს, რომ მას აქვს უფლება იცოდეს ის, რაც მასზე გავლენას ახდენს.
დასაბუთებული კომუნიკაცია - ბავშვთან კომუნიკაცია უნდა იყოს სანდო და პატივისცემით გაჯერებული.

⇨ ზიანი არ მიაყენო (DO NO HARM)

მასწავლებელმა უნდა შეინარჩუნოს სიფრთხილე და გააცნობიეროს, რომ მისი ნებისმიერი ქმედება ან სიტყვა შეიძლება გავლენას ახდენდეს მოსწავლის ემოციურ კეთილდღეობაზე. ზიანი შეიძლება იყოს განზრახ (როგორიცაა შეურაცხყოფა) ან უნებლიე (როგორიცაა ბავშვის განცალკევება ან მის მიმართ უყურადღებობა). მასწავლებლის ამოცანაა, უზრუნველყოს უსაფრთხო, მზრუნველი და მხარდამჭერი გარემო, სადაც მოსწავლეს არ ექნება შფოთვის ან ზიანის განცდა.

გახსოვდეთ

ბეწვის ხიდი - მიგრანტი მშობლების შვილებთან მუშაობა მოითხოვს განსაკუთრებულ სიფრთხილეს, რათა თითოეული ქმედება ეფუძნებოდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

⇨ კონფიდენციალურობა

ზრუნვის კონფიდენციალურობა არის როგორც ეთიკური, ასევე სამართლებრივი საკითხი. კონფიდენციალურობა აყალიბებს ნდობას ბავშვთან და ოჯახთან. კონფიდენციალურობის გამონაკლისები და ამ პრინციპთან შეპირისპირება მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც ბავშვის საუკეთესო ინტერესის დარღვევა შეიძლება განაპირობოს კონფიდენციალურობის დაცვამ.

⇨ რეაგირება და მგრძნობელობა

- **ემოციური მხარდაჭერა:** ბავშვების ემოციურ მოთხოვნილებებზე მყისიერი და სათანადო რეაგირება, კომფორტის შეთავაზება და უსაფრთხო, სანდო გარემოს შექმნა.
- **ყურადღების მიქცევა:** ყურადღება მოსწავლის ემოციურ მდგომარეობაზე – თუ ბავშვი არ გამოხატავს თავის პრობლემებს, მასწავლებელმა უნდა შეამჩნიოს მისი ქცევითი ცვლილებები და მოახდინოს დროული რეაგირება.

⇨ ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესობა

ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპი მიგრანტი მშობლების შვილებისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ეს მოიცავს ბავშვის უფლებებისა და კეთილდღეობის დაცვას, მათი ემოციური და ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას, განათლებისა და განვითარების ხელშეწყობას და ნებისმიერი უთანასწორო მოპყრობის პრევენციას. მიგრანტი მშობლების შვილებთან მუშაობისას თითოეული ქმედება უნდა ეფუძნებოდეს ამ პრინციპს, რათა ბავშვებმა შეძლონ დაბრკოლებების გადალახვა და სრულფასოვანი, ბედნიერი ცხოვრების გაგრძელება.
ბავშვებისთვის სკოლა უნდა იყოს ადგილი, სადაც ისინი იგრძნობენ მხარდაჭერას, თავდაჯერებულობას და განვითარების შესაძლებლობებს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მშობელი მათ გვერდით.

7. 9 პრინციპი ნეგატიური შედეგების თავიდან ასაცილებლად

მასწავლებლის როლი გადამწყვეტია ემიგრანტი მშობლების შვილების ემოციური, აკადემიური და ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. ეს 9 პრინციპი ეხმარება სკოლებს და მასწავლებლებს, დაიცვან ბავშვები შესაძლო ნეგატიური შედეგებისგან და უზრუნველყონ მათი სტაბილური განვითარება.

1. მშობლებთან მუდმივი კავშირის შენარჩუნება

შეთანხმებული კომუნიკაციის არხები - მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს რეგულარული კომუნიკაცია საზღვარგარეთ მყოფ მშობლებთან სხვადასხვა ხელმისაწვდომი არხით (ელფოსტა, ტელეფონი, Viber, WhatsApp, Zoom, Skype)..
მიზანი:

- მშობლებს ჰქონდეთ ინფორმაცია ბავშვის აკადემიურ მიღწევებსა და ემოციურ მდგომარეობაზე.
- ბავშვმა არ იგრძნოს მშობლისგან ემოციური დაშორება.

2. რისკების შესახებ მშობლების დროული ინფორმირება

მასწავლებელმა უნდა შეატყობინოს მშობლებს ნებისმიერ სიტუაციაზე, რომელიც ბავშვისთვის რისკს წარმოადგენს, მათ შორის:

- ქცევის მკვეთრი ცვლილებები (ინტროვერსია, აგრესია, მოტივაციის დაკარგვა).
- სასწავლო შედეგების მკვეთრი გაუარესება.
- ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობის შესაძლო ნიშნები.

მიზანი: მშობლებმა დროულად მიიღონ ინფორმაცია და შეძლონ ბავშვის მხარდაჭერა.

3. ბავშვის საჭიროებების მიმართ ღიაობა

მასწავლებელი უნდა იყოს ყურადღებიანი მოსწავლის ემოციური, ფსიქოლოგიური და აკადემიური საჭიროებების მიმართ.

როგორ:

- მუდმივი დაკვირვება და მოსწავლის ქცევის ანალიზი.
- ინდივიდუალური მიდგომების შემუშავება, რათა ბავშვის განვითარება დაბალანსებული იყოს.

მიზანი: მოსწავლემ იგრძნოს, რომ მასწავლებელი და სკოლა მხარს უჭერს მას და მისი პრობლემები გათვალისწინებულია.

4. ბავშზე დაკვირვება

მასწავლებელმა უნდა მიაქციოს ყურადღება მოსწავლის ქცევით ცვლილებებს, მათ შორის:

- თვითიზოლაცია, ურთიერთობების შემცირება;
- ზედმეტი აგრესია ან გაღიზიანება;
- მოტივაციის დაკარგვა სწავლისა და აქტივობების მიმართ.

მიზანი: პრობლემების დროული იდენტიფიცირება და შესაბამისი ზომების მიღება (ფსიქოლოგთან ან სკოლის სოციალური მუშაკთან კოორდინაცია).

5. ემოციური მხარდაჭერა ბავშვისთვის

მასწავლებელმა უნდა შექმნას მოსწავლისთვის უსაფრთხო სივრცე, სადაც ის შეძლებს ემოციების გამოხატვას.

აქტივობები:

- გუნდური თამაშები და არტ-თერაპია, რაც ეხმარება ბავშვებს ემოციების მართვაში.
- ინდივიდუალური და ჯგუფური საუბრები, სადაც მოსწავლეებს შეეძლებათ თავიანთი განცდების გაზიარება.

მიზანი: მოსწავლემ იგრძნოს, რომ მას ჰყავს მხარდამჭერი პირები სკოლაში.

6. ბავშვის აქტივობებში ჩართვა

ბავშვის აქტივობებში ჩართვა მისი ასაკის, უნარებისა და ინტერესების შესაბამისად.
მაგალითად: სპორტული, შემოქმედებითი ან საგანმანათლებლო აქტივობები, რომლებიც ეხმარება ბავშვს თანატოლებთან ურთიერთობის გაუმჯობესებაში და თვითგამოხატვაში. ამასთან, მოსწავლემ იგრძნოს სკოლის პოზიტიური გარემო და მისი ღირებულება ჯგუფში.

7. ზრდასრულებთან ურთიერთობის დაკვირვება

ბავშვსა და მეურვეებს/მშობლებს შორის ურთიერთობის გამოკვლევა - მასწავლებელი უნდა დააკვირდეს, როგორ ურთიერთობენ ბავშვი და მისი მეურვე (ბებია-ბაბუა, ნათესავი, ძმა/და).

მიზანი:

- თუ ბავშვს მეურვესთან ურთიერთობა რთული აქვს, მასწავლებელმა უნდა მოახდინოს დროული რეაგირება (სოციალური მუშაკის ან ფსიქოლოგის ჩართვა).
- თუ ბავშვი ზედმეტ პასუხისმგებლობას იღებს ოჯახის წევრებზე, მასწავლებელი უნდა დაეხმაროს, რომ ის ბავშვობიდან ზედმეტად ადრე არ გამოვიდეს.

8. მეურვეების/ბებია-ბაბუის მხარდაჭერა

სკოლამ უნდა უზრუნველყოს რეგულარული კომუნიკაცია მეურვეებთან.

როგორ:

- სემინარებისა და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება, სადაც ისინი მიიღებენ რეკომენდაციებს ბავშვის მხარდაჭერის შესახებ.
- ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სესიები, რათა მეურვეებმა გაიგონ, როგორ დაეხმარონ ბავშვებს მშობლის არყოფნის დროს.

მიზანი: მეურვეებმა გაიგონ, როგორ მოიქცნენ, რომ ბავშვი სტრესს უმტკივნეულოდ გადაურჩეს.

9.ძალადობის პრევენცია და ამოცნობა

მასწავლებელმა უნდა იცოდეს ძალადობის ამოცნობის ტექნიკები და გააქტიუროს სიფრთხილე მოსწავლის ქცევით ცვლილებებზე.

- ბავშვის ჩაკეტილობა ან მოულოდნელი აგრესიულობა.
- მოტივაციის მკვეთრი ვარდნა სწავლაში.
- ფიზიკური დაზიანებების ნიშნები ან ემოციური შფოთვა.

მიზანი: ძალადობის ან ბულინგის აღმოჩენის შემთხვევაში დროული რეაგირება და ბავშვის დაცვა. მოსწავლისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, სადაც ის შეძლებს თავისი ემოციების უსაფრთხოდ გამოხატვას.

10. მასწავლებლის თვითრეფლექსიის ფორმა

ინსტრუქცია: თითოეული მტკიცების მიხედვით მონიშნეთ შესაბამისი პასუხი.

მტკიცება	იშვიათად (1)	ზოგჯერ (2)	ხშირად (3)
ვამჩნევ ბავშვის ემოციურ ცვლილებებს	☐	☐	☐
ვაკვირდები ბავშვის ქცევას სისტემურად	☐	☐	☐
ვცდილობ გავიგო ქცევის მიზეზები	☐	☐	☐
ვქმნი უსაფრთხო გარემოს კლასში	☐	☐	☐
ვაძლევ ბავშვს ემოციების გამოხატვის საშუალებას	☐	☐	☐
ვიყენებ ემოციური მხარდაჭერის აქტივობებს	☐	☐	☐
ვიკავებ თავს განსჯისგან	☐	☐	☐
ვქმნი არასტიგმატიზებელ გარემოს	☐	☐	☐
ვითვალისწინებ ინდივიდუალურ საჭიროებებს	☐	☐	☐
ვცვლი სწავლების მიდგომას საჭიროების მიხედვით	☐	☐	☐
ვამყარებ ნდობას ბავშვთან	☐	☐	☐
ვთანამშრომლობ მშობლებთან/მეურვეებთან	☐	☐	☐
ვაძლიერებ ბავშვის ძლიერ მხარეებს	☐	☐	☐
ვიცავ კონფიდენციალურობას	☐	☐	☐
ვხელმძღვანელობ პრინციპით „ზიანი არ მიაყენო“	☐	☐	☐

ვზრუნავ ჩემს პროფესიულ კეთილდღეობაზე	☐	☐	☐

ქულების დათვლის სისტემა

შეაჯამეთ მონიშნული პასუხები.

მაქსიმალური ქულა: 48

16–25 ქულა — საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას
26–37 ქულა — საშუალო დონე
38–48 ქულა — მაღალი დონე

რეფლექსია

ჩემი შედეგი: _____ / 48

რა გამომდის კარგად:

.....

რის გაუმჯობესებას ვგეგმავ:

.....

ერთი კონკრეტული ნაბიჯი შემდეგი კვირისთვის:

.....